მატჩი “ლოკომოტივთან”

მოსკოვი. “ლოკომოტივის” სტადინო. 2 ნოემბერი.

“ლოკომოტივი” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი) 4:2 (1:1).

“ლოკომოტივი”: ბაბურინი, მიხაილოვი, ალექსანდროვი, კამზულინი, შელესტი, კუზნეცოვი, პეტრაკოვი, ბონდარი, ზიუზინი (პანტელეევი), ავერიანოვი, ბადუსოვი.

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია (მინაშვილი), მ. მაჩაიძე, ქორიძე, კოპალეიშვილი, ჩელებაძე, შენგელია (კაკილაშვილი).

მსაჯი: გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 1:3.

მატჩი მიმდინარეობდა უაღრესად არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში: ყინავდა, ქროდა ძლიერი ქარი. ანგარიში მე–9 წუთზე გახსნა ბადუსოვმა. ტაიმის დასასრულს ლოკომოტიველთა მცველმა მიხაილოვმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე და ჩელებაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი – 1:1.

მეორე ტაიმში პეტრაკოვმა 50–ე და 73–ე წუთებზე წინ გაიყვანა “ლოკომოტივი”. შემდეგ კოპალეიშვილმა მეორე ბურთის გატანა შეძლო მოსკოველთა კარში, მაგრამ იმავე პეტრაკოვმა მეოთხედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

“ლელო”, 3 ნოემბერი, 1979 წ.